

სამაგისტრო გამოცდების ტესტები სპეციალობაში

კომპიუტერის არქიტექტურის და ორგანიზაციის საფუძვლები

1. რითი გამოირჩეოდა ინტეგრალურ სქემებზე დამუშავებული კომპიუტერი ტრანზისტორებზე დამუშავებულ კომპიუტერ-თან შედარებით?
 - a) უფრო დიდი ზომით
 - b) მეტი ღირებულებით
 - c) მუშაობის უფრო მაღალი სისწრაფით
 - d) ნაკლები მოხმარებული სიმძლავრით

2. რითი გამოირჩეოდა პირველი თაობის გამომთვლელი მანქანა?
 - a) ფონ-ნეიმანის არქიტექტურის საფუძველზე იყო დამუშავებული
 - b) დაბალი საიმედოობით
 - c) ელემენტურ ბაზას ტრანზისტორები წარმოადგენდა
 - d) თანამედროვე კომპიუტერებთან შედარებით ინფორმაციის დამამახსოვრებელი ელემენტების დიდი რაოდენობით

3. რითი გამოირჩეოდა მეორე თაობის გამომთვლელი მანქანა?
 - a) თანამედროვე კომპიუტერებთან შედარებით მაღალი საიმე-დოობით
 - b) თანამედროვე კომპიუტერებთან შედარებით მცირე ენერ-გომოხმარებით
 - c) ელემენტურ ბაზას ტრანზისტორები წარმოადგენდა
 - d) თანამედროვე კომპიუტერებთან შედარებით დიდი გაბა-რიტებით

4. რომელი მსჯელობაა სწორი ტრანზისტორისთვის?
 - a) არის ნახევარგამტარი
 - b) მისი გამოყენება დაიწყო პირველი თაობის გამომთვლელი მანქანებიდან
 - c) ყოველთვის ატარებს დენს
 - d) არასდროს არ ატარებს დენს

5. რომელი მსჯელობაა სწორი მიკროკონტროლერისთვის?
 - a) მიკროკონტროლერი შეიძლება იყოს მხოლოდ უნივერსა-ლური
 - b) მიკროკონტროლერის პროგრამული უზრუნველყოფა მის მეხსიერებაში მწარმოებლის მიერ არის „ჩაშენებული“
 - c) მიკროკონტროლერი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალი-ზებული
 - d) მიკროკონტროლერი შეიძლება იყოს როგორც უნივერსა-ლური, ასევე სპეციალიზებული

6. საყოფაცხოვრებო ტექნიკის მართვისთვის უმეტესად გამოიყენება:

- a) ერთჯერადი კომპიუტერები
- b) სამუშაო სადგურები
- c) მიკროკონტროლერები
- d) პერსონალური კომპიუტერები

7. სერვერი შეიძლება იყოს:

- a) აუცილებლად ერთპროცესორული
- b) აუცილებლად ორპროცესორული
- c) აუცილებლად მულტიპროცესორული
- d) შეიძლება იყოს როგორც ერთპროცესორული ასევე მულტი-პროცესორული.

8. ცენტრალურ პროცესორთან მიმართებაში რომელი მსჯელობა არ არის სწორი?

- a) ცენტრალური პროცესორი კომპიუტერული სისტემის ძირითადი მოწყობილობაა
- b) ცენტრალური პროცესორის სიხშირე დამოკიდებულია ოპერატიული მეხსიერების მოცულობაზე
- c) ცენტრალური პროცესორი ასრულებს გამოთვლით ოპერა-ციებს
- d) ცენტრალური პროცესორის სწრაფქმედება მეგაჰერცებში და გეგაჰერცებში იზომება

9. ცენტრალურ პროცესორთან მიმართებაში რომელი მსჯელობაა სწორი?

- a) ცენტრალური პროცესორი კომპიუტერის დამხმარე მოწყობილობაა
- b) ცენტრალური პროცესორი უკავშირდება სისტემურ პლატას
- c) ცენტრალური პროცესორი ასრულებს გამოთვლით ოპერა-ციებს
- d) კომპიუტერის გამორთვის შემდეგ პროცესორი ინარჩუნებს ინფორმაციას

10. რომელი მათგანი არ არის პროცესორის ძირითადი მახასიათებელი?

- a) დამუშავებული მონაცემების გარე თანრიგიანობა
- b) დამუშავებული მონაცემების შიგა თანრიგიანობა
- c) ფერების რაოდენობა
- d) სატაქტო სიხშირე

11. პერსონალური კომპიუტერის ყველა თანამედროვე პროცესორს აქვს:

- a) მხოლოდ ჩაშენებული L1 Cache მეხსიერება
- b) მხოლოდ ჩაშენებული L2 Cache მეხსიერება
- c) მხოლოდ ჩაშენებული L3 Cache მეხსიერება
- d) სამივე

12. რომელი მოწყობილობაა კომპიუტერის ძირითადი ბირთვი, რომელიც გამოთვლით ოპერაციებს ასრულებს?

- a) ოპერატიული მეხსიერება
- b) ვინჩესტერი
- c) სისტემური პლატა
- d) პროცესორი

13. რომელი კომპონენტი არ არის პროცესორის ძირითადი მახასიათებელი?

- a) ინტეგრაციის ხარისხი
- b) დამუშავებული მონაცემების შიგა თანრიგიანობა
- c) სატაქტო სიხშირე
- d) ფერების რეჟიმები

14. რომელი მეხსიერებაა ინტეგრირებული პროცესორში?

- a) ძირითადი ოპერატიული მეხსიერება
- b) Cache მეხსიერება
- c) მუდმივი მეხსიერება
- d) გარე მეხსიერება

15. რა ერთეულებში იზომება პროცესორის სატაქტო სიხშირე?

- a) მეგაჰერცებსა და გეგაჰერცებში
- b) მეგაბაიტებსა და გეგაბაიტებში
- c) ვატებში
- d) არც ერთი პასუხი არ არის სწორი

16. ცენტრალურ პროცესორთან მიმართებაში რომელი მსჯელობაა სწორი?

- a) ცენტრალური პროცესორის სწრაფქმედება დამოკიდებულია მხოლოდ მის სატაქტო სიხშირეზე
- b) ცენტრალური პროცესორის სწრაფქმედება დამოკიდებულია მხოლოდ მის არქიტექტურაზე
- c) ცენტრალური პროცესორის სწრაფქმედება დამოკიდებულია როგორც მის სატაქტო სიხშირეზე, ასევე მის არქიტექტურაზე
- d) ცენტრალური პროცესორის სწრაფქმედება არ არის დამოკიდებული არც მის სატაქტო სიხშირეზე და არც მის არქიტექტურაზე

17. რა ტიპის მეხსიერებაში იწერება BIOS-ი?

- a) ოპერატიულ მეხსიერებაში
- b) მუდმივ მეხსიერებაში

- c) ქეშ-მეხსიერებაში
- d) გარე მეხსიერებაში

18. BIOS-ი შეიცავს:

- a) მაღალი დონის დრაივერებს
- b) სისტემის პარამეტრების კონფიგურაციის პროგრამას
- c) ოპერაციულ სისტემას
- d) სამომხმარებლო ფაილებს

19. დინამიური მეხსიერების დადებითი თვისებებია:

- a) მაღალი ინტეგრაციის ხარისხი
- b) მაღალი სწრაფქმედება
- c) კვების გამორთვისას ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობა
- d) დაბალი ღირებულება

20. სტატიკური მეხსიერების დადებითი თვისებებია:

- a) მაღალი სწრაფქმედება
- b) დინამიურ მეხსიერებასთან შედარებით მაღალი ინტეგრაციის ხარისხი
- c) დაბალი ღირებულება
- d) კვების გამორთვისას ინფორმაციის შენახვის შესაძლებლობა

21. Cache მეხსიერება არის:

- a) სტატიკური მეხსიერება
- b) დინამიური მეხსიერება
- c) შეიძლება იყოს როგორც სტატიკური, ასევე დინამიური მეხსიერება
- d) არც ერთი არ არის სწორი

22. ძირითადი ოპერატიული მეხსიერების მოდული არის:

- a) სტატიკური მეხსიერება
- b) შეიძლება იყოს როგორც სტატიკური, ასევე დინამიური მეხსიერება.
- c) დინამიური მეხსიერება
- d) არც ერთი არ არის სწორი

23. რა დანიშნულებას ასრულებს CMOS Setup?

- a) მართავს მოწყობილობებს
- b) ახდენს ოპერაციული სისტემის ჩატვირთვას
- c) უზრუნველყოფს კომპიუტერის თვითტესტირებას

- d) მისი მეშვეობით შესაძლებელია სისტემის კონფიგურაცია (სხვადასხვა პარამეტრის დაყენება)

24. რა დანიშნულებას ასრულებს BIOS-ის POST ქვეპროგრამა?

- a) მისი მეშვეობით შესაძლებელია სისტემის კონფიგურაცია.
- b) ახდენს ოპერაციული სისტემის ჩატვირთვას
- c) უზრუნველყოფს კომპიუტერის ტესტირებას
- d) მართავს მოწყობილობებს

25. კვებაზე დამოკიდებული მეხსიერების ტიპებია:

- a) ძირითადი ოპერატიული მეხსიერება და ვინჩესტერი
- b) ვინჩესტერი და კომპაქტ-დისკი
- c) ძირითადი ოპერატიული მეხსიერება და Cache-მეხსი-ერება
- d) Cache მეხსიერება და ვინჩესტერი

26. კომპიუტერის გამორთვის შემდეგ სუფთავდება:

- a) მხოლოდ ოპერატიული მეხსიერება
- b) ძირითადი ოპერატიული მეხსიერება და Cache მეხსიერება
- c) ვინჩესტერი
- d) მხოლოდ Cache მეხსიერება

27. კომპიუტერის ენერგოდამოკიდებულ მეხსიერებას მიეკუთ-ვნება:

- a) მუდმივი მეხსიერება
- b) ვინჩესტერი
- c) კომპაქტ-დისკი
- d) ოპერატიული მეხსიერება

28. სად არის მოთავსებული მუმივი მეხსიერების მიკროსქემა?

- a) სისტემურ პლატაზე
- b) პროცესორში
- c) ოპერატიულ მეხსიერებაში
- d) ქეშ მეხსიერებაში

29. ჩამოთვლილთაგან რომელია ყველაზე სწრაფი მეხსიერება?

- a) ძირითადი ოპერატიული მეხსიერება
- b) მუდმივი მეხსიერება
- c) Cache მეხსიერება

d) ვინჩესტერი

30. რომელ მეხსიერებას აღნიშნავს ჩანაწერი RAM?

- a) მუდმივ მეხსიერებას
- b) ოპერატიულ მეხსიერებას
- c) ვინჩესტერს
- d) კომპაქტ-დისკურ მოწყობილობას

31. რომელ მეხსიერებას აღნიშნავს ჩანაწერი ROM?

- a) ოპერატიულ მეხსიერებას
- b) მუდმივ მეხსიერებას
- c) ვინჩესტერს

32. ჩამოთვლილთაგან რომელია ოპერატიული მეხსიერების და-ნიშნულება?

- a) უშუალოდ დამუშავების პროცესში მყოფი პროგრამების შენახვა
- b) ინფორმაციის მუდმივი შენახვა
- c) უშუალოდ დამუშავების პროცესში მყოფი მონაცემების შენახვა
- d) გამოთვლითი ოპერაციების შესრულება

33. რომელი ფერისთვისაა მეტი ბიტი გამოყოფილი 32-ბიტის HiColor რეჟიმში?

- a) მწვანესთვის
- b) წითლისთვის
- c) ლურჯისთვის
- d) სამივესთვის თანაბარი

34. რომელი მოწყობილობა მართავს გამოსახულების მონიტორზე გამოტანის პროცესს?

- a) აუდიოკონტროლერი
- b) ქსელის კონტროლერი
- c) ვიდეოკონტროლერი
- d) ოპერატიული მეხსიერება

35. ეკრანის გარჩევადობა (Resolution) დამოკიდებულია:

- a) მონიტორის ჰორიზონტალური ხაზების რაოდენობაზე
- b) მონიტორის როგორც ჰორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ხაზების რაოდენობაზე
- c) მონიტორის ვერტიკალური ხაზების რაოდენობაზე
- d) არ არის დამოკიდებული მონიტორის არც ჰორიზონტალური და არც ვერტიკალური ხაზების რაოდენობაზე

36. რომელია მონიტორის მინიმალური ასახვადი ელემენტი?

- a) პიქსელი
- b) კვადრატი
- c) ჰორიზონტალური ხაზი
- d) ვერტიკალური ხაზი

37. რამდენი მოწყობილობა შეიძლება შეერთდეს ერთ SATA (Serial ATA) სალტესთან?

- a) ერთი
- b) ორი
- c) სამი
- d) განუსაზღვრელი რაოდენობის

38. რომელი მსჯელობაა ჭეშმარიტი?

- a) ერთ ATA სალტესთან შეიძლება შეერთდეს ორი დისკური მოწყობილობა
- b) ერთ ATA სალტესთან შეიძლება შეერთდეს მხოლოდ ერთი დისკური მოწყობილობა
- c) ერთ SATA სალტესთან შეიძლება შეერთდეს ორი დის-კური მოწყობილობა
- d) ერთ SATA სალტესთან შეიძლება შეერთდეს რამდენიმე დისკური მოწყობილობა

39. რომელი მსჯელობაა მცდარი?

- a) SATA ინტერფეისის კაბელში ATA-სთან შედარებით ნაკლები რაოდენობის გამტარი გამოიყენება
- b) პარალელურ ATA კაბელთან შედარებით გამარტივებულია SATA კაბელების დამზადების ტექნოლოგია
- c) SATA მიკროსქემის კონსტრუქციაში ATA-სთან შედარებით ნაკლები რაოდენობის გამომყვანი და ძაბვის შემცირებული დონეა
- d) ATA ინტერფეისის კაბელში SATA-სთან შედარებით ნაკლები რაოდენობის გამტარი გამოიყენება

40. რომელი მსჯელობაა ჭეშმარიტი?

- a) USB პარალელური პორტია
- b) USB კაბელის საშუალებით ზოგიერთი დაბალი სიმ-ლავრის პერიფერიული მოწყობილობის კვება შესაძლებელია
- c) USB პორტთან მოწყობილობის შეერთებისას კომპიუტერის გამორთვა ან გადატვირთვა აუცილებელია
- d) USB პორტი პერიფერიულ მოწყობილობებთან Plug&Play რეჟიმში მუშაობას უზრუნველყოფს

41. ინტერფეისის საშუალებით მონაცემების გაცვლა შეიძლება ხდებოდეს:

- a) მხოლოდ კომპიუტერის შიგა ბლოკებს შორის
- b) მხოლოდ კომპიუტერსა და პერიფერიულ მოწყობილობებს შორის
- c) როგორც კომპიუტერის შიგა ბლოკებს შორის, ასევე კომპიუტერსა და პერიფერიულ მოწყობილობებს შორის
- d) არც ერთი არ არის სწორი

42. ინტერფეისის ხაზი შეიძლება იყოს:

- a) მხოლოდ ელექტრული
- b) მხოლოდ ოპტიკური
- c) როგორც ელექტრული, ასევე ოპტიკური
- d) არც ერთი არ არის სწორი

43. რომელი მსჯელობაა სწორი?

- a) თანამედროვე კომპიუტერებში მხოლოდ პარალელური სალტები გამოიყენება
- b) თანამედროვე კომპიუტერებში მხოლოდ მიმდევრობითი სალტები გამოიყენება
- c) თანამედროვე კომპიუტერებში გამოიყენება როგორც პარალელური, ასევე მიმდევრობითი სალტები
- d) დამოკიდებულია პერსონალური კომპიუტერის მოდელზე

44. ინფორმაცია იწერება:

- a) ვინჩესტერის დისკის ზედა მხარეს
- b) ვინჩესტერის დისკის ქვედა მხარეს
- c) ვინჩესტერის დისკის ორივე, როგორც ზედა, ასევე ქვედა მხარეს

45. რამდენი დისკისგან შეიძლება შედგებოდეს ვინჩესტერი:

- a) 1
- b) 2
- c) 3
- d) დამოკიდებულია ვინჩესტერის მოდელზე

46. რომელი ტიპის დისკებზე შეუძლია მომხმარებელს ინფორმაციის ჩაწერა?

- a) CD-DA
- b) CD-ROM
- c) CD-R
- d) CD-RW

47. რა დროს ფორმირდება დისკზე სექტორები?

- a) დაბალი დონის დაფორმატების დროს
- b) მაღალი დონის დაფორმატების დროს
- c) დისკის განყოფილებებად დაყოფის დროს
- d) ოპერაციული სისტემის ინსტალაციის დროს

48. რომელი მსჯელობაა მცდარი?

- a) სისტემურ პლატას უერთდება კომპიუტერის კომპონენტები
- b) პროცესორი ძირითად გამომთვლელ ოპერაციებს ასრულებს კომპიუტერში
- c) მუდმივი მეხსიერება კვებისგან დამოუკიდებელი მეხსიერებაა
- d) ოპერატიულ მეხსიერებაში ჩაწერილია პროგრამა BIOS

49. რომელი მსჯელობაა ჭეშმარიტი?

- a) BIOS-ი შეიცავს სასტარტო პროგრამებს, რომლებიც სისტემის ფუნქციონირების დაწყებას უზრუნველყოფს
- b) პროცესორი ინფორმაციას კომპიუტერის გამორთულ მდგომარეობაში ყოფნის დროსაც ინახავს
- c) ოპერატიული მეხსიერება კვებისგან დამოუკიდებელი მეხსიერებაა
- d) კვების ბლოკი ინახავს პროგრამებს

50. რომელი მსჯელობაა ჭეშმარიტი?

- a) Cache მეხსიერება მცირე მოცულობის, ზესწრაფი ტიპის ოპერატიული მეხსიერებაა
- b) კომპიუტერის სხვადასხვა ბლოკს შორის მონაცემების გაცვლა ინტერფეისების საშუალებით ხდება
- c) პლატა-კონტროლერების ხარისხობრივი მაჩვენებლები "ჩა-შენებული" კონტროლერების ანალოგიურ მაჩვენებლებს მკვეთრად ჩამოუვარდება
- d) ვიდეოკონტროლერი ახდენს „რთული“ ხმების გენერირებას

51. რომელი მსჯელობაა მცდარი?

- a) პორტი არის ინტერფეისი, რომლის საშუალებითაც კომპიუტერს უშუალოდ უკავშირდება პერიფერიული მოწყობილობა
- b) კვების ბლოკი გამოიმუშავებს სამუშაო ძაბვებს, რომლებიც კომპიუტერის სხვადასხვა კომპონენტს მიეწოდება
- c) ვინჩესტერის სწრაფქმედება აღემატება ოპერატიული მეხსიერების სწრაფქმედებას
- d) აუდიოკონტროლერი ახდენს "რთული" ხმების გენერირებას

52. რომელი მსჯელობაა მცდარი?

- a) მიკროსქემის ინტეგრაციის ხარისხი მასში მოთავსებული ტრანზისტორების რაოდენობით განისაზღვრება
- b) კვარცული რეზონატორი ანალოგურ, სინუსოიდური ფორ-მის სიგნალებს გამოიმუშავებს
- c) სატაქტო გენერატორ ციფრულ სიგნალებს გამოიმუშავებს
- d) სატაქტო სიხშირე პროცესორის სწრაფქმედების ერთა-დერთი განმსაზღვრელი ფაქტორია

53. რომელი მსჯელობაა ჭეშმარიტი?

- a) კვარცული რეზონატორი დამონტაჟებულია უშუალოდ სისტემურ პლატაზე ან ინტეგრირებულია სისტემური პლატის მიკროსქემების კრებულში
- b) თანამედროვე პერსონალურ კომპიუტერს მხოლოდ ერთი სატაქტო გენერატორი აქვს
- c) კომპიუტერის სხვა კომპონენტებს პროცესორი სისტემური სალტის (FSB – Front Side Bus) საშუალებით უკავშირდება
- d) სატაქტო სიხშირე პროცესორის სწრაფქმედების ერთადერთი განმსაზღვრელი ფაქტორია

54. რომელი მსჯელობაა მცდარი?

- a) სალტის უმნიშვნელოვანესი პარამეტრებია მისი თანრიგი-ანობა და სატაქტო სიხშირე
- b) ხმოვანი სიხშირის დიაპაზონს დისკრეტიზაციის სიხშირე განსაზღვრავს
- c) კომპიუტერის სხვა კომპონენტებს პროცესორი სისტემური სალტის (FSB – Front Side Bus) საშუალებით უკავშირდება
- d) თანამედროვე პერსონალურ კომპიუტერს მხოლოდ ერთი სატაქტო გენერატორი აქვს

55. რომელი მსჯელობაა ჭეშმარიტი?

- a) ტექსტურ რეჟიმში ეკრანის ცალკეული პიქსელები იმარ-თება
- b) პროგრამიდან გამოსვლისას პროგრამა ოპერატიული მეხსი-ერებიდან იშლება
- c) კომპაქტ-დისკებზე ინფორმაციის ჩაწერა/წაკითხვა მაგნი-ტური ტექნოლოგიის საფუძველზე სრულდება
- d) L1 Cache მეხსიერება ყველა თანამედროვე პროცესორს აქვს

56. რომელი მსჯელობაა მცდარი?

- a) პროგრამიდან გამოსვლისას პროგრამა ვინჩესტერიდან იშლება
- b) კომპაქტ-დისკებზე ინფორმაციის ჩაწერა/წაკითხვა ოპტი-კური ტექნოლოგიის საფუძველზე სრულდება.

- c) "ჩაშენებული" ვიდეოკონტროლერის გამოყენება ამცირებს სისტემის ღირებულებას.
- d) L3 Cache მეხსიერება ყველა თანამედროვე პროცესორს გააჩნია

დაპროგრამება

- რა ეწოდება ლოგიკური პირობის მიხედვით ციკლის შეწყვეტის პროცესს?
 - პროგრამის ჩაქცევა
 - რეკურსიის მოვლენა
 - ციკლიდან ალტერნატიული გამოსვლა
 - რთული ციკლური პროცესი
- ციკლის მმართველი პარამეტრის საწყისი მნიშვნელობა მეტია მის საბოლოო მნიშვნელობაზე. როგორი უნდა იყოს მმართველი პარამეტრის ცვლილების ბიჯი, რომ პროგრამა არ ჩაიციკლოს?
 - დადებითი
 - უარყოფითი
 - ნული
 - ნებისმიერი
- ორპერანდიანი ლოგიკური "და" ოპერატორი ჭეშმარიტ შედეგს იძლევა, თუ:
 - მოცემული ოპერანდებიდან ერთ-ერთი ჭეშმარიტია
 - მოცემული ოპერანდებიდან ორივე მცდარია
 - მოცემული ოპერანდებიდან ერთ-ერთი მცდარია
 - მოცემული ოპერანდებიდან ორივე ჭეშმარიტია
- როგორია მინიჭების ოპერაციის ასოციატურობა?
 - მარცხნიდან მარჯვნივ
 - მარჯვნიდან მარცხნივ
 - ნებისმიერი მიმართულებით
 - ოპერაციის აღმნიშვნელი ნიშნიდან მარჯვნივ
- ჩამოთვლილთაგან რომელი არ წამოადგენს ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ძირითად პრინციპს:
 - ინკაფსულაცია
 - მემკვიდრეობითობა
 - კომპოზიციულობა

- პოლიმორფიზმი

6. რეკურსიულს წარმოადგენს ფუნქცია/მეთოდი, რომელსაც შეუძლია:

- საკუთარი თავის გამოძახება
- სხვა ფუნქციის/მეთოდის გამოძახება
- მხოლოდ გამოთვლების წარმოება
- მხოლოდ ტექსტური შეტყობინების გამოტანა

7. დაპროგრამებაში პოლიმორფიზმი ნიშნავს:

- კომპოზიციას კლასების შემთხვევაში
- მრავალფორმიანობას ფუნქციების/მეთოდების გადატვირთვის ან ხელახალი განსაზღვრის შემთხვევაში
- მემკვიდრეობითობას კლასების იერარქიულ სტრუქტურაში
- აბსტრაქტულ კლასებს

8. ციკლს, რომელშიც შესასრულებელ მოქმედებათა გამეორების რიცხვი წინასწარ ცნობილია, ეწოდება:

- არითმეტიკული ციკლი
- იტერაციული ციკლი
- გეომეტრიული ციკლი
- უსასრულო ციკლი

9. რას უწოდებენ ციკლის მმართველ პარამეტრს, რომლის მნიშვნელობა თანმიმდევრობით მცირდება:

- უკუმთვლელს
- ბიჯს
- პირდაპირ მთვლელს
- ინდექსს

10. ოროპერანდიანი ლოგიკური "გამომრიცხავი ან" ოპერატორი ჭეშმარიტ შედეგს იძლევა, თუ:

- მოცემული ოპერანდებიდან ორივე ჭეშმარიტია
- მოცემული ოპერანდებიდან ორივე მცდარია
- მოცემული ოპერანდები განსხვავებულია
- მოცემული ოპერანდები ერთნაირია

11. რას წარმოადგენს პალინდრომი?

- სიტყვას ან ციფრების მიმდევრობას, რომელიც ორივე მხრიდან (წინიდან და უკნიდან) სხვადასხვაგვარად იკითხება
- ნებისმიერ სიტყვას

- სიტყვას ან ციფრების მიმდევრობას, რომელიც ორივე მხრიდან (წინიდან და უკნიდან) ერთნაირად იკითხება
- ნებისმიერ რიცხვს

12. რას გულისხმობს განსაკუთრებული სიტუაცია პროგრამაში?

- პრობლემურ სიტუაციას, რომელმაც პროგრამის შესრულების დროს შეიძლება იჩინოს თავი
- პრობლემურ სიტუაციას, რომელმაც პროგრამის გამართვის დროს შეიძლება იჩინოს თავი
- პრობლემურ სიტუაციას, რომელმაც პროგრამის რედაქტირების დროს შეიძლება იჩინოს თავი
- უპრობლემო სიტუაციას პროგრამაში

13. რას წარმოადგენს სტეკი?

- ადაპტერს, რომელშიც ელემენტების დამატება/წაშლა ერთი ბოლოდან ხდება. მუშაობს პრინციპით: „ბოლო შევიდა, პირველი გავიდა“
- ადაპტერს, რომელშიც ელემენტების დამატება/წაშლა ორი ბოლოდან ხდება. მუშაობს პრინციპით: „ბოლო შევიდა, პირველი გავიდა“
- ადაპტერს, რომელშიც ელემენტების დამატება/წაშლა ერთი ბოლოდან ხდება. მუშაობს პრინციპით: „პირველი შევიდა, პირველი გავიდა“
- ადაპტერს, რომელშიც ელემენტების დამატება/წაშლა ორი ბოლოდან ხდება. მუშაობს პრინციპით: „პირველი შევიდა, პირველი გავიდა“

14. რას წარმოადგენს რიგი?

- მონაცემთა სტრუქტურას - ელემენტების მოუწესრიგებელ ნაკრებს. ელემენტების წაშლა რიგის თავიდან (დასაწყისიდან) ხდება, ხოლო ელემენტების ჩამატება რიგის ბოლოში ხორციელდება. რიგის პრინციპია: „პირველი შევიდა, პირველი გავიდა“.
- მონაცემთა სტრუქტურას - ელემენტების მოწესრიგებულ ნაკრებს. ელემენტების წაშლა რიგის თავიდან (დასაწყისიდან) ხდება, ხოლო ელემენტების ჩამატება რიგის ბოლოში ხორციელდება. რიგის პრინციპია: „პირველი შევიდა, პირველი გავიდა“.
- მონაცემთა სტრუქტურას - ელემენტების მოუწესრიგებელ ნაკრებს. ელემენტების წაშლა რიგის თავიდან (დასაწყისიდან) ხდება, ხოლო ელემენტების ჩამატება რიგის ბოლოში ხორციელდება. რიგის პრინციპია: „პირველი შევიდა, ბოლო გავიდა“.
- მონაცემთა სტრუქტურას - ელემენტების მოწესრიგებულ ნაკრებს. ელემენტების წაშლა რიგის ბოლოდან ხდება, ხოლო ელემენტების ჩამატება რიგის თავში (დასაწყისში) ხორციელდება. რიგის პრინციპია: „პირველი შევიდა, ბოლო გავიდა“.

15. რას წარმოადგენს ლექსემა?

- სიმბოლოთა თანამიმდევრობას, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია პუნქტუაციის ნიშნებით ან ჰარით (space).
- სიმბოლოთა თანამიმდევრობას, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია მხოლოდ პუნქტუაციის ნიშნებით.
- სიმბოლოთა თანამიმდევრობას, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია მხოლოდ ჰარით (space).
- სიმბოლოთა თანამიმდევრობას, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია არითმეტიკული ოპერაციების ნიშნებით.

16. რას უდრის ერთგანზომილებიანი მასივის პირველი ელემენტის ინდექსის საწყისი მნიშვნელობა და მისი ცვლილების ბიჯი, თუ საჭიროა მასივიდან კენტინდექსიანი ელემენტების ამორჩევა:

- ინდექსი - ერთს, ცვლილების ბიჯი – ორს
- ინდექსი - ორს, ცვლილების ბიჯი - ერთს
- ინდექსი - ერთს, ცვლილების ბიჯი - ერთს
- ინდექსი - ორს, ცვლილების ბიჯი – ორს

17. რა არის საჭირო უსასრულო რეკურსიის თავიდან ასაცილებლად?

- საწყისი ამოცანის საბაზისო ამოცანაზე დაყვანა
- საბაზისო ამოცანის საწყის ამოცანაზე დაყვანა
- იტერაციული პროცესის გამოყენება
- საწყისი ამოცანის გართულება

18. ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებაში რა ეწოდება მოვლენას, როდესაც ერთი კლასის ობიექტი სხვა კლასის ელემენტად (მონაცემად) გვევლინება?

- ინკაფსულაცია
- კომპოზიცია
- აბსტრაქცია
- მემკვიდრეობითობა

19. უნარულ ოპერაციას გააჩნია:

- ორი ოპერანდი
- სამი ოპერანდი
- ერთი ოპერანდი
- სამზე მეტი ოპერანდი

20. ჩამოთვლილთაგან რომელია პროგრამებში არაშესრულებადი ბრძანება?

- მინიჭების ოპერაცია
- კომენტარი
- დეკრემენტის ოპერაცია

- ინკრემენტის ოპერაცია

21. ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ცენტრალურ კომპონენტს წარმოადგენს:

- კონსტრუქტორი
- ობიექტი
- კლასი
- დესტრუქტორი

22. ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამების ენებში მეთოდს, რომლის დანიშნულებაც კლასის მონაცემების ინიციალება, ეწოდება:

- კონსტრუქტორი
- ინტერფეისი
- პაკეტი
- დესტრუქტორი

23. ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამების ენებში ფუნქცია/მეთოდი, რომელიც შედეგს აბრუნებს, თავის ტანში აუცილებლად უნდა მოიცავდეს:

- switch ოპერატორს
- break ოპერატორს
- return ოპერატორს
- continue ოპერატორს

24. ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამების ენებში რომელი არ წარმოადგენს კლასის წევრებზე წვდომის მოდიფიკატორს?

- public
- private
- double
- protected

25. ჩანაწერი --y წარმოადგენს:

- ინკრემენტის ოპერაციის პრეფიქსულ ფორმას
- ინკრემენტის ოპერაციის პოსტფიქსურ ფორმას
- დეკრემენტის ოპერაციის პოსტფიქსურ ფორმას
- დეკრემენტის ოპერაციის პრეფიქსულ ფორმას

26. რას წარმოადგენს ფსევდოშემთხვევითი რიცხვები?

- რიცხვებს, რომლებიც ხასიათდებიან შემთხვევითი რიცხვების თვისებებით, მაგრამ ყოველი მომდევნო რიცხვი კონკრეტული ფორმულით არ გამოითვლება.
- რიცხვებს, რომლებიც ხასიათდებიან შემთხვევითი რიცხვების თვისებებით, მაგრამ ყოველი მომდევნო რიცხვი მოცემული ფორმულით გამოითვლება.
- უბრალოდ შემთხვევით რიცხვებს.

- კვაზიშემთხვევით რიცხვებს.

27. რას წარმოადგენს არმსტრონგის რიცხვი?

- ნატურალურ რიცხვს, სადაც მასში შემავალი N-ურ ხარისხში აყვანილი ციფრების საშუალო არითმეტიკული ამავე რიცხვის ტოლია (N წარმოადგენს რიცხვში არსებული თანრიგების რაოდენობას)
- ნატურალურ რიცხვს, სადაც მასში შემავალი N-ურ ხარისხში აყვანილი ციფრების ჯამი ამავე რიცხვის ტოლია (N წარმოადგენს რიცხვში არსებული თანრიგების რაოდენობას)
- ნატურალურ რიცხვს, სადაც მასში შემავალი N-ურ ხარისხში აყვანილი ციფრების ნამრავლი ამავე რიცხვის ტოლია (N წარმოადგენს რიცხვში არსებული თანრიგების რაოდენობას)
- ნატურალურ რიცხვს, სადაც მასში შემავალი N-ურ ხარისხში აყვანილი ციფრების ჯამის ნახევარი ამავე რიცხვის ტოლია (N წარმოადგენს რიცხვში არსებული თანრიგების რაოდენობას)

28. კომპიუტერში შემთხვევითი რიცხვების საწარმოებლად საჭიროა:

- ინტერპრეტატორი
- კომპილატორი
- ტრანსლატორი
- ელექტრონული გენერატორი

29. რას წარმოადგენს რიცხვთა შემდეგი მიმდევრობა: 1 1 2 3 5 8 13 21 34 55...

- არაუარყოფითი მთელი რიცხვების ფაქტორიალების მნიშვნელობებს
- შემთხვევით რიცხვებს
- ფიბონაჩის რიცხვებს
- არმსტრონგის რიცხვებს

30. ჩამოთვლილთაგან რომელია მასივებში საჭირო მნიშვნელობის ელემენტის ძებნის ყველაზე სწრაფი ალგორითმი?

- „ბუშტისებრი“ დახარისხების ალგორითმი
- მარტივი გადანაცვლების ალგორითმი
- წრფივი ძებნის ალგორითმი
- ბინარული ძებნის ალგორითმი

31. მასივში თვითოეული ელემენტის ინდექსების რაოდენობა განსაზღვრავს:

- მასივის ზომას
- მასივის განზომილებას
- მასივის საწყის მისამართს კომპიუტერის მეხსიერებაში
- მასივის ელემენტების პოზიციას

32. მასივში შემავალი ელემენტების რაოდენობა განსაზღვრავს:

- მასივის ზომას
- მასივის განზომილებას
- მასივის საწყის მისამართს კომპიუტერის მეხსიერებაში
- მასივის ელემენტების პოზიციას

33. პროგრამაში კომენტარი შეიძლება განვათავსოთ:

- მხოლოდ პროგრამის დასაწყისში
- მხოლოდ პროგრამის ბოლოს
- მხოლოდ პროგრამის შუა ნაწილში
- პროგრამის ნებისმიერ ადგილას

34. ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების რომელი პრინციპი იძლევა იერარქიული კლასიფიკაციების შექმნის შესაძლებლობას?

- პოლიმორფიზმი
- მემკვიდრეობითობა
- ინკაფსულაცია
- აბსტრაქცია

35. რა წარმოადგენს მეთოდების დინამიური დისპეტჩერიზაციის საფუძველს?

- მეთოდების ხელახალი განსაზღვრა
- მეთოდების გადატვირთვა
- რეკურსია
- ინკაფსულაცია

36. ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების ენებში რომელი მეთოდი გამოიძახება ავტომატურად კლასის ობიექტის შექმნისთანავე?

- დესტრუქტორი
- კონსტრუქტორი
- ინვერტორი
- დეფრაგმენტატორი

37. რა ტიპის შედეგს აბრუნებს კლასის კონსტრუქტორი?

- double
- int
- void
- კონსტრუქტორი შედეგს არ აბრუნებს

38. ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამების რომელი პრინციპი გამოიყენება ობიექტის ატრიბუტებისა და მეთოდების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად?

- მემკვიდრეობითობა
- პოლიმორფიზმი
- ინკაფსულაცია
- აბსტრაქცია

39. დაპროგრამებაში ცვლადი არის:

- რეგისტრის მნიშვნელობა
- დარეზერვებული სიტყვა
- მეხსიერების ნაწილი, რომელიც გარკვეულ მნიშვნელობას ინახავს
- მუდმივი სიდიდე

40. რა ტიპის შეცდომა არ არსებობს დაპროგრამებაში?

- სინტაქსური
- ლოგიკური
- სემანტიკური
- მორფოლოგიური

41. პოლიმორფიზმის ერთ-ერთი სახეა:

- მეთოდების ხელახალი განსაზღვრა
- რეკურსია
- აბსტრაქცია
- ინკაფსულაცია

42. სტატიკური პოლიმორფიზმის ნიმუშია:

- რეკურსია
- მეთოდების გადატვირთვა
- მეთოდების ხელახალი განსაზღვრა
- ინკაფსულაცია

43. ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს დაპროგრამების თანამედროვე პარადიგმას?

- ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება
- მოდულური დაპროგრამება
- სტრუქტურული დაპროგრამება
- პროცედურული დაპროგრამება

44. კლასის ობიექტის სინონიმია:

- ცვლადი
- ეგზემპლარი
- ეგზემპლარის ცვლადი
- მეთოდი

45. ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამებაში რა განაპირობებს კლასის ქცევას?

- კლასის ობიექტები
- მოდულები
- კლასის მეთოდები
- ეგზემპლარის ცვლადები

46. რომელი დონის დაპროგრამების ენას წარმოადგენს ასემბლერი?

- მაღალი დონის
- დაბალი დონის
- საშუალო დონის
- წარმოდგენილი არცერთი პასუხი არ არის სწორი

47. ვინ ითვლება პირველი უძველესი ალგორითმის ავტორად?

- პითაგორა
- დეკარტე
- ევკლიდე
- ალ-ხორეზმი

48. ასემბლერის ენიდან მნემოკოდის მანქანურ ენაში გარდაქმნისთვის გამოიყენება:

- ინტეგრატორი
- სუმატორი
- გამმართველი
- ტრანსლატორი

49. ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ობიექტზე ორიენტირებულ დაპროგრამების ენას?

- Simula
- Prolog
- SmallTalk
- Delphi

50. რა ეწოდება ერთი რთული ამოცანის რამდენიმე მარტივ ქვეამოცანად დაყოფის პროცესს?

- აბსტრაქცია
- რეინჟინერია
- დეკომპოზიცია
- კომპოზიცია

სტრუქტურა არის მონაცემთა ტიპი, რომელშიც

- ყველა ელემენტი უნდა იყოს ერთნაირი ტიპის;
- ყველა ელემენტი უნდა იყოს მხოლოდ ტექსტური ტიპის;
- ელემენტები შეიძლება იყოს სხვადასხვა ტიპის;
- ელემენტები უნდა იყონ მხოლოდ რიცხვითი ტიპის;

სტრუქტურის აღწერისთვის გამოიყენება შემდეგი საკვანძო სიტყვა:

- structure
- struct
- struc
- struct

სტრუქტურის წევრზე წვდომა ხდება შემდეგი ოპერატორის გამოყენებით:

- *
- .
- []
- &

თუ სტრუქტურის ერთი ან რამდენიმე წევრი არის სხვა სტრუქტურის ტიპის მაშინ ასეთ სტრუქტურას ეწოდება:

- ჩადგმული სტრუქტურა
- არასწორისტრუქტურა
- არასტრუქტურული სტრუქტურა

რა შედეგს გამოიტანს მოცემული პროგრამა?

```
struct rectangle {  
    float length;  
    float width; };  
int main(){  
    struct rectangle x;  
    x.length=12;  
    x.width=10;  
    cout<<x.lenght *x width;
```

მოცემულთაგან რომელი არ არის შიდა ლოკალური ქსელისთვის დარეზერვებული სივრცის მისამართი?

- 117.15.17.9
- 172.30.12.254
- 10.0.0.255
- 192.168.1.3

ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება მიენიჭოს კვანძს(Host)?

- 127.12.15.89
- 10.0.0.255
- 192.168.14.16
- 172.255.0.254

რამდენი ჰექსტეტისგან შედგება IPv6 მისამართი?

8

2001:B8:ACAD::1 ჩაწერეთ მოცემული შეკუმშული IPv6 მისამართი სრულად:

2001:00B8:ACAD:0000:0000:0000:0001

მოცემულია IP - 12.168.34.47 /17 . მოცემულის მიხედვით ჩაწერეთ IP მისამართის შესაბამისი ფართომუშყელობითი(Broadcast) მისამართი

12.168.127.255

რა არის პროტოკოლების მიზანი მონაცემთა გადაცემაში?

- ყოველი ტიპის კავშირისათვის ინფორმაციის მატარებლის ან არხის გამტარუნარიანობის განსაზღვრა
- მოწყობილობის ოპერაციული სისტემის განსაზღვრა, რომელიც კავშირს უზრუნველყოფს
- განსაზღვრული ტიპის კავშირისთვის აუცილებელი წესების უზრუნველყოფა
- კავშირის დროს გაგზავნილი შეტყობინების შინაარსის კარნახი

კაბელის რომელი ტიპი გამოიყენება სამუშაო სადგურის სერიალური პორტის Cisco მარშრუტიზატორის კონსოლის პორტთან მისაერთებლად?

- ჯვარედინი (crossover)
- როლოვერი (Rollover)
- პირდაპირი გამჭოლი (Straight-through)
- კოაქსიალური (coaxial)

რომელი გამონათქვამია ჭეშმარიტი TCP/IP და OSI მოდელებთან მიმართებაში?

- TCP/IP სატრანსპორტო შრე და OSI მოდელის მე-4 შრე უზრუნველყოფენ ერთსა და იმავე სერვისებსა და ფუნქციებს.
- TCP/IP ქსელის წვდომის შრესა და OSI მოდელის ქსელურ შრეს გააჩნიათ ერთი და იგივე ფუნქციები.
- OSI მოდელის მე-7 შრე და TCP/IP აპლიკაციათა შრე უზრუნველყოფენ ერთსა და იმავე ფუნქციებს.
- OSI მოდელის პირველი სამი შრე აღწერს ძირითად სერვისებს, რომლებიც ასევე უზრუნველყოფილნი არიან TCP/IP-ის ინტერნეტის შრის მიერ.

რომელ მისამართს იყენებს ქსელის ინტერფეისის ბარათი, როდესაც იღებს გადაწყვეტილებას, მიიღოს თუ არა ფრეიმი?

- გამგზავნის IP მისამართი
- გამგზავნის MAC მისამართი
- დანიშნულების IP მისამართი
- დანიშნულების MAC მისამართი
- გამგზავნის ეთერნეტ მისამართს

რატომ შეიქმნა OSI მოდელი?

- რათა მომხდარიყო ახალი ტექნოლოგიების გაფართოვება
- რათა მომხდარიყო ქსელის საიმედოობის გაზრდა
- რათა მომხდარიყო ქსელის გამტარუნარიანობის გაზრდა
- რათა მომხდარიყო სხვადასხვა ქსელების ერთმანეთთან თავსებადობა

რომელი მისამართი არ იცვლება კომპიუტერში, თუ მას წავიღებთ ერთი ადგილიდან მეორე ადგილას?

- Gateway
- IP
- ლოგიკური
- MAC

ჩამოთვალეთ OSI მოდელის დონეები თანმიმდევრობით მეშვიდედან-პირველამდე

Application, Session, Presentation, Transport, Network, Data-Link, Physical

Application, Presentation, Transport, Session, Network, Data-Link, Physical

Application, Session, Transport, Presentation, Network, Data-Link, Physical

Application, Presentation, Session, Transport, Network, Data-Link, Physical

რომელი პასუხი აღწერს უკეთესად DNS სერვერის მნიშვნელობას ქსელში

მას გადაყავს ქსელური რესურსების სახელები ქსელურ მისამართებში

ის გადასცემს ინფორმაციას სერვერის გამოყენებით

ის გადასცემს ინფორმაციას HTML გვერდების გამოყენებით

ის არიგებს IP მისამართებს როგორც ცერვერზე, ასევე კომპიუტერებზე

ქსელის ადმინისტრატორს რომელიც მუშაობს TBC ბანკის მთავარ ოფისში, სურს რომ კომუნიკაცია დაამყაროს TBC ბანკის გორის ოფისში. ინფორმაცია რომელსაც ადმინისტრატორი აგზავნის არის ძალზედ მნიშვნელოვანი და საჭიროებს მაღალ უსაფრთხოებას. რომელი ტიპის ქსელი უნდა გამოიყენოს მან?

WAN

WLAN

VPN

SAN

LAN

რომელი მისამართები მუშაობენ ოსი მოდელის მეორე დონეზე?

ფიზიკური

არცერთი, ამ დონეზე ხდება ბიტების გადაცემა

ლოგიკური

IP მისამართები

რომელი პროცესი გამოიყენება რათა მოხდეს საუკეთესო გზის არჩევა?

Switching
Routing
Encapsulation
Addressing

ჩამოთვლილთაგან კომპიუტერული ქსელის რომელი კომპონენტებია (წყვილი) საჭირო ერთგვაროვანი ლოკალური ქსელის ინტერნეტთან დასაკავშირებლად?

- ა) სერვერი და კომუტატორი (Switch)
- ბ) კომუტატორი (Switch) და მარშრუტიზატორი (Router).
- გ) ქსელის ადაპტერი და ქსელის პროგრამული უზრუნველყოფა.
- დ) კომუტატორი (Switch) და ქსელის პროგრამული უზრუნველყოფა.

რომელი პროტოკოლის საშუალებით არის შესაძლებელი ქსელში დინამიური IP მისამართების დარიგება?

- DNS
- FTP
- TFTP
- DHCP

SQL Server - ტესტი

1. SELECT COUNT(DISTINCT personaliID) AS [რაოდენობა] FROM Xelshekruleba;
მოთხოვნის შესრულების შედეგად:

- A) გაიცემა personaliID სვეტის გამეორებადი მნიშვნელობების რაოდენობა
- B) არ გაიცემა personaliID სვეტის არაგამეორებადი მნიშვნელობების რაოდენობა
- C) გაიცემა personaliID სვეტის არაგამეორებადი მნიშვნელობების რაოდენობა

2. თითოეული ჯგუფისათვის:

- A) შეიძლება აგრეგირების ფუნქციების გამოყენება, რომლებიც არ შესრულდება ჯგუფის ყველა სტრიქონის მიმართ
- B) არ შეიძლება აგრეგირების ფუნქციების გამოყენება, რომლებიც შესრულდება ჯგუფის ყველა სტრიქონის მიმართ
- C) შეიძლება აგრეგირების ფუნქციების გამოყენება, რომლებიც შესრულდება ჯგუფის ყველა სტრიქონის მიმართ

3. ცხრილების ნორმალიზება არის:

- A) მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი ორგანზომილებიანი ცხრილების სახით
- B) მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი სამგანზომილებიანი ცხრილების სახით
- C) მონაცემების წარმოდგენის პროცესი მარტივი ერთგანზომილებიანი ცხრილების სახით

4. ორ ცხრილს შორის კავშირის დასამყარებლად:

- A) მთავარი ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღებს
- B) დამოკიდებული ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება მთავარი ცხრილის გარე გასაღებს
- C) დამოკიდებული ცხრილის პირველადი გასაღები უკავშირდება დამოკიდებული ცხრილის გარე გასაღებს

5. პირველადი გასაღები:

- A) ცალსახად არ განსაზღვრავს თითოეულ სტრიქონს ცხრილში
- B) ცალსახად განსაზღვრავს თითოეულ სტრიქონს ცხრილში
- C) ცალსახად განსაზღვრავს თითოეულ სვეტს ცხრილში

6. დროებითი ცხრილი ყოველთვის იქმნება:

- A) მიმდინარე სერვერზე tempdb მონაცემთა ბაზაში
- B) სხვა სერვერზე tempdb მონაცემთა ბაზაში
- C) მიმდინარე სერვერზე model მონაცემთა ბაზაში

7. თითოეული მონაცემთა ბაზა შემდეგი ფაილებისაგან შედგება:

- A) მხოლოდ მონაცემთა ბაზის ფაილებისაგან
- B) მხოლოდ ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებისაგან
- C) მონაცემთა ბაზისა და ტრანზაქციების ჟურნალის ფაილებისაგან

8. USE Baza_1 ბრძანების შესრულების შედეგად:

- A) მიმდინარე გახდება Baza_1 მონაცემთა ბაზა
- B) დაიხურება Baza_1 მონაცემთა ბაზა
- C) გაიფილტრება Baza_1 მონაცემთა ბაზა

9. მონაცემთა ბაზის შექმნა შესაძლებელია:

- A) როგორც Transact-SQL-ის ბრძანებების, ისე გრაფიკული ინტერფეისის საშუალებით
- B) მხოლოდ Transact-SQL-ის ბრძანებების საშუალებით
- C) მხოლოდ გრაფიკული ინტერფეისის საშუალებით

10. CREATE DATABASE ბრძანების ON არგუმენტი მიუთითებს, რომ:

- A) არ იწყება მონაცემთა ბაზის ფაილების განსაზღვრა
- B) იწყება მონაცემთა ბაზის ფაილების განსაზღვრა

C) იწყება მონაცემთა ბაზის ინდექსების განსაზღვრა

11. CREATE DATABASE ბრძანების FILEGROWTH არგუმენტი განსაზღვრავს:

- A) ნაზრდის ზომას კატალოგისათვის
- B) ნაზრდის ზომას ფაილისათვის
- C) ნაზრდის ზომას ტრიგერისათვის

12. სვეტის განსაზღვრისას IDENTITY არგუმენტი მიუთითებს, რომ შესაბამისი სვეტი:

- A) იქნება სტრიქონი-მთვლელი
- B) არ იქნება სვეტი-მთვლელი
- C) იქნება სვეტი-მთვლელი

13. CREATE TABLE Cxrili(cxriliID INT PRIMARY KEY IDENTITY (1,1), sveti1 INT, sveti2 NVARCHAR(20), sveti3 FLOAT, sveti4 DATETIME); ბრძანების შესრულების შედეგად:

- A) შეიქმნება Cxrili ცხრილი, რომელსაც აქვს პირველადი გასაღები, მთელი, სტრიქონული, წილადი და თარიღის ტიპის მქონე სვეტები
